**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება**

მისამართი: ჯ. კახიძის ქ. № 15, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ.: (995 32) 2961534 /291092 /2943008
ფაქსი: (995 32) 2953304; ელ-ფოსტა: **redcross@ redcross.ge**
ვებ-გვერდი: **www.redcross.ge**

**GEORGIA RED CROSS SOCIETY**

Address: 15, J. Kakhid/e str., Tbilisi, 0102, Georgia
Tel.: (99532) 2961534 / 2961092 / 2943008
Fax: (995 32) 2953304; e-mail: **redcross@redcross.ge**
Web-site: **www.redcross.ge**


№ 61

თბილისი 14.02. 2020
TBILISI

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს,
ქალბატონ თამარ გაბუნიას

**ქალბატონო თამარ,**

მოგესალმებით და გამოვხატავ ღრმა პატივისცემას პირადად თქვენსადმი და თქვენი უწყების მიმართ.

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 27-28 თებერვალს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (სწჯს) სამუშაო ვიზიტით ეწვევა შვეიცარიის წითელი ჯვრის (შწჯ) დელეგაცია – ბატონი მაიკლ კრამერი, აზია-ევრიპასთან საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქალბატონი გაბრიელა ზიპერ-ბანასი, პროგრამების კოორდინატორი და ქალბატონი ჯინა სარგიზოვა, შწჯ-ის წარმომადგენელი სომხეთში.

ვიზიტის მიზანია, ადგილზე სწჯს-ის ბინაზე მოვლის სერვისის და ზოგადად ჯანდაცვისა და სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით მიმდინარე საქმიანობების და უნარიანობის გაცნობა, აგრეთვე სამომავლო მხარდაჭერის შესაძლებლობების განხილვა. ვიზიტის ფარგლებში გათვალისწინებულია სწჯს-ის სტრატეგიულ პარტნიორებთან შეხვედრა და მათთან სწჯს-ის მთავრობის დამხმარე როლის გასაძლიერებლად საჭირო მხარდაჭერის განხილვა.

მოგმართავთ თხოვნით, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ დღეს საბოლოოდ დაზუსტდა ვიზიტის თარიღები და არ გვქონდა შესაძლებლობა უფრო ადრე მოგვემართა თქვენთვის, განიხილოთ თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა ამა წლის 27 ან 28 თებერვალს.

დიდი იმედი მაქვს თქვენი ჩვეული მხარდაჭერის!

ველი თქვენს გამოხმაურებას!

პატივისცემით,

ნინო ოსეფაიშვილი
გენერალური მდივანი